№ 49 მარტი 7, სამშაბათი — 1889 — მარტი 7, სამშაბათი № 49

| გაზეთის ფასი | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი 1877—1889


## „ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში).

ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ქართული კონცერტი

კვირას, 12 მარტს

ბ-ნ აღნიაშვილის ქართული ხორო

გაჰმართავს სრულიად

ახალ სიმღერების

## კონცერტს

ბ-ნ ა. ი. ბერიძის ლოტბარობით.

ამ კონცერტში ერთს განყოფილებას შეასრულებს ბ-ნ აღნიაშვილის მიერვე ახლად შედგენილი

კეთილშობილ ქალთა ხორო,

რომელიც შესდგება 18 ქართულად ჩაცმულ-დახურულ ქართველ მომღერალ-ქალთაგან.


ტფილისი, 6 მარტი

რაც გინდ დიდ გაჭირებაში ჩავარდეს კაცი, ერთად-ერთი გზა ხსნისა კაცის საკუთარი მხნეობა და გამრჯელობაა. მართალია, შესაძლოა სხვა გარემოებამაც ხელი შეუწყოს კაცს გაჭირებისაგან დახსნისათვის, მაგრამ თავი და თავი მოქმედი ძალი მთა-კლდის გასარღვევად მაინც კაცის საკუთარი მხნეობაა, საკუთარი თვით-მოქმედებაა. უამისოდ სხვისით საქმის წარმართვა, სხვისით ხსნა, სხვისაგან მოლოდინი შველისა და ხსნისა უფრო მიძინებაა მხნეობისა, თვით-მოქმედებისა და თავის თავის შველისა, ვიდრე საქმის გაჩარხვა, კეთება და წარმატება.

კაცი როცა მარტო სხვის ხელს შეჰყურებს, — აცა როდის რას მომაწვდისო, როცა მარტო სხვის გულს შეჰკნავის ღვთის გულისათვის მიშველე რამეო, იგი მთხოვარაა უქმი და არა მოქმედი და გამრჯელი. ამისთანა კაცმა დღეს რომ საქმე გაისწოროს, ხვალ ისევ იმავ დღეში ჩავარდება, რა დღეშიაც სამაცლოდ გამოხსნამდე იყო, იმიტომ-რომ თვითონ უქმია და მოედანი ცხოვრებისა-კი იმისია, ვინც თვითონ მხნეობს და ირჯება თავის თავის საშველად. საზოგადოებას აიღებთ, თუ ცალკე კაცს, ყველგან ერთს და იმავე უცვალებელს ბედის-წერასა ჰხედავთ, რომ მარტო საკუთარს თვით-მოქმედებას, მხნეობას, გამრჯელობას წარუმართვნია საქმე როგორც საზოგადოებისა, ისეც ცალკე კაცისა. რომელი საზოგადოებაც, თუ ცალკე კაცი სხვაზედ დანდობილა და თვითონ გულ-ხელი დაუკრებია, იმას ამ ქვეყანაში პური არსობისა ვერ გამოუცხვია და სადაც ეგ პური არ არის, იქ არც სიცოცხლეა — იქ მკვდარი მკვდარზეა აკიდებული სამგლოვიარო წასაღებად.

ჩვენ ეს საუბარი ჩამოგვაგდებინა ერთმა წერილმა, რომელიც 4-ს მარტს ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი ამ სათაურით: «საზოგადოების საყურადღებოდ». ჩვენდა სასიხარულოდ, ამ წერილში ის ვიპოვეთ, რასაც არა ერთხელ ვნატრულობდით ეგრეთ წოდებულ «დედაკაცთა საქმის» ჭეშმარიტს გზაზედ დასაყენებლად და, მაშასადამე, წარსამატებლად. ამ წერილში არ არის ის უგბილო საყვედური და უქმი ჩივილი, რომ აი თქვე, გულ-ქვაო კაცებო, რატომ თქვენს უფლებას ჩვენც არ გაგვინაწილებთო? რატომ იმისთანა თავისუფლებას ჩვენც არ გვაძლევთ, რომელიც თქვენ ასე ტკბილად გატარებინებთ თქვენს სიცოცხლესაო და სხვა ამისთანა? არც ის უთავ-ბოლო ფრაზებია იმაზედ თუ, — დედაკაცს ქვეყანაზედ მარტო სამი «უწმინდესი, უსამღვთოესი დანიშნულება» აქვსო: დედობა, ცოლობა და დობა, თითქო უველაზედ უწინარეს იგი იმავე ადამიანად არ იყოს გაჩენილი, როგორც მამაკაცი და მაშასადამე მინამ დედობას, ცოლობას, დობას იკისრებდეს, ყველაზედ უწინარეს იგივე ადამიანობა არ მოეთხოვებოდეს, როგორც მამაკაცს. დედობა, ცოლობა და დობა დიდი საქმე არ არის. ეს ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი გარემოებისა. საქმე კაი დედაკაცობაა, კაი ადამიანობაა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, კაი კაცობაა და მერე დედობა, მამობა, ქმრობა, ცოლობა და სხვა. კაცს დედობის, ქმრობის და სხვა ამისთანის გარდა კიდევ სხვა ბევრი მოვალეობა აწევს საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე და ყველაზედ უწინარეს ამ მოვალეობას უნდა გაუძლვეს მამაკაცია, თუ დედაკაცი. ამას მარტო კაი კაცობა შესძლებს. ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვად რადმე, იმიტომ-რომ მამობა და დედობა ადამიანური მარტო შვილების გამრავლება და ძუძუს წოება არ არის.

ჩვენ ეს ამ ხანად მოკლედ გამოთქმული აზრი იქნება ოდესმე უფრო ვრცლად გავარკვიოთ, ეხლა-კი ისევ ზემოხსენებულ წერილს დავუბრუნდეთ. პატივცემული ავტორი-ქალი გვაუწყებს, რომ ჩვენს ქალებს უთავნიათ ღონე მოიპოვონ და სკოლა გაჰმართონ ქალების გასაზრდელად და თვით გაზდა შეუფერონ ჩვენის დღევანდელის დღის საჭიროებასა.

„უთუოდ მეტყვით, მკითხველო, ამბობს ავტორი: რომ ამ გვარ სკოლას დიდი-ძალი ფული მოუნდება, მაგრამ, ბატონებო, თქვენის დახმარებით და ჩვენის მეცადინეობით იქნება ეს აზრი საქმედ ვაქციოთ. უეჭველია, საქართველოს ყველა კუთხიდგან გამოგვეხმაურებიან, ხელს მოგვაწვდენენ, აღმოგვიჩენენ შემწეობას და ამითი გაგვამხნევებენ და შეგვისუბუქებენ იმ ტვირთს, რომელიც ჩვენ ვიდეთ კისრად.

ჩვენ ამ წერილისა ის მოგვწონს და ის გვიხარიან, რომ ჩვენს ქალებს თავის თავის შველა მოუწადინებიათ და სათავედ დაუდვიათ საკუთარი მხნეობა, საკუთარი მეცადინეობა. უკეთესს სახსარს, უკეთესს ღონეს სხვას ვერას იპოვიან, თუ მართლა ჰსურთ საქმის გაკეთება და არა ტყუილ-უბრალო წივილ-კივილი. ჩვენ ეს ამბავი სიხარულით შევაქვს ჩვენს მატიანეში და მივულოცავთ ჩვენს ქალებს, რომ ჭეშმარიტს გზას დასდგომიან თავიანთ სვე-ბედის გასასწორებლად. მალე შეუსრულდებათ ეს კეთილი განზრახვა, თუ გვიან — დღეს საქმე იმაში არ არის. საქმე იმაშია, რომ თავიანთი საკუთარი მხნეობა, საკუთარი გამრჯელობა დაუდვიათ სათავედ თავიანთ მოქმედებისათვის და შესდგომიან, რომ თავის საკუთარის ხელითა და გარჯით გაიტანონ ცხოვრების მოედნიდამ თავიანთ სვე-ბედის ბურთი. რაც გინდ ბევრი დაბრკოლება აღმოუჩნდეს პირველ ხანებში ამ ქალებისაგან განზრახულს საქმეს, ბოლო მაინც გამარჯვებაა და გამარჯვება, რადგანაც იშვიათი ამბავია, რომ დაუღალავს მხნეობასა და საქმის ბოლომდე მედგრად მიყოლას თავი არ გაეტანოს. ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენს ქალებს წესად მიუღიათ, რომ

თუ თვით არ ვიღვწით, ვერ ვპოვებთ კეთილსა შესაკრებელსა.

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, კვირას, 5 მარტს, ბანკის თეატრში ქართულის დრამატიულის დასის არტისტებმა ბ-ნის ვ. აბაშიძის მეთაურობით წარმოადგინეს გ. ერისთავის პიესა „ყვარყვარე ათაბაგი“ და ამას გარდა დივერტისმენტი და ცხოველი სურათები გაჰმართეს. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა და საკმაო ხალხიც დაესწრო. დივერ-

## ფელეტონი

### ხალხური ლექსები

გაგონილი სოფ. ვარდის-უბანში, თელავის მაზრაში, მთ — შვილისაგან.

დემურ ყეინი დაიძრა,<br>
დაავდო ხოროსანიო,<br>
გადმოიარა თელავი,<br>
თელავის მთა და ბარიო.

***

იქ რო კარავი დაავგო<br>
წითელი ლალის ფერიო,<br>
შიგ დემურ ყეინ შაბრძანდა,<br>
რა ტურფა სანახავიო!

***

წერა და წერა წიგნები,<br>
შვიდ კეცი შვიდი მხარიო,<br>
„ეს ქართლის ბატონს მიმირთვით<br>
ამისი სიტყვა ჩქარიო“,

***

„ან ქალი მომცეს რუსუდან,<br>
ან ვაჟი ამირანიო“.<br>
გაწყრა, გაჯავრდა რუსუდან<br>
თავს გაიშალა თმანიო,<br>
„რომელი გათათრებულა<br>
ბაგრატიონთა გვარიო?“

ქეთევან შაშიაშვილისა

სუ ერთიან შაიყარა<br>
კატეხი*) და ბელექანი,<br>
ლეკებს ჩხუბი მოუყვიდათ<br>
იქ რო ერთი წყალი არი.

***

სამი ლეკი წამოვიდა<br>
ტუტუცი და მდარიაო,<br>
წინ ძროხამ ჩამოიარა,<br>
უკან მოჰდევს ცხვარიაო.

***

იმაჰ რო ბიჭი მოჰდევდა<br>
ლამაზი და მგვარიაო,<br>
ჰტაცეს ხელი, დაიჭირეს,<br>
გაატარეს გზანიაო,

***

პატარ კაცმა ქეეხიშვილმა<br>
შუ[illegible]ს შაასწრო თვალიაო,<br>
[illegible]ხენსა ლავამი ამოჰდო,<br>
წინ მაასწრო მალეაო.

***

ასეთი წამოურბინა<br>
ბურბუშელა ქარიაო!<br>
„ლეკო! ბიჭი დამანებეთ,<br>
დაგილოცოთ გზანიაო!..“

***

„ჩვენ ბევრი ბიჭი გვინახავ<br>
შენზედ უფრო მალიაო“,<br>
ესროლა და გადმოაგდო<br>
სულ ბელექნიჰ თვალიაო.

მისივე

*) სოფელია.

### ქართველთა შორის

ჩვენს დალოცვილს ქვეყანას, სხვა ქალაქთა შორის, აქვს კიდევ ერთი ქალაქი, სახელად ოზურგეთი, რომელიც დანარჩენ ქალაქებისგან განირჩევა მხოლოდ მდებარეობით და იქნება სიერცითაც, სხვაფრივ-კი ისე ჰგავს ყველას, როგორც ერთი ნახევარი გაჰრილის ვაშლისა მეორე იმისს ნახევარს.. როგორც სხვაგან, ოზურგეთშიაც ნახევარ კაცზე ორი დუქანი მოდის. იქაც დუქანში ზის ერთი ან ორი სქელი, მორგვივით გათანაბრებული არსება, რომელსაც „ხაზაინს“ უბრტყელებენ, ერთი ან ორი ჩამომხმარი დახლიდარი, რომელიც გაჭიმული დგას ფეხზე, თითქო სარიჩაუყლაპნიაო, და სახელად „პრიკაშიკს“ იჩემებს. იქაც, როგორც ყოველ ჩვენებურ ქალაქში, „ხაზაინს“ დიდი, ძალიან დიდი სურვილი აქვს, რომ ოთხ გროშიან საქონელს ერთი თეთრი აბაზი მაინც გაავლებინოს, იქაც «პრიკაშიკი» მოწადინებულია, ძალიან და ძალიან მოწადინებული, რომ ორის კაპიკით მეტი ამოაღებინოს საქონელს, ვიდრე „ხაზაინი“ ჰფიქრობს, და ამ სახით ოთხ გროშიან საქონელში თვრამეტი კაპეიკი მოგება დუქნის პატრონს აჩვენოს და ოთხი გროშიც თითონ ჩაიჩხრიალოს ჯიბაში, მხოლოდ ისე-კი, რომ მარცხენა ხელმა არ უწყოდეს, რასა იქმს მარჯვენა ხელი. და უკეთუ ასეთის საკეირველის ალებ-მიცემობითა და ამ ფასიანის საქონლით იქაური «ვაჭარი» ორსამ წელიწადზე არ შეიქმნა პატრონი მილიონებისა, ოზურგეთშიც, როგორც სხვა ყველა ჩვენებურ ქალაქებში, ვაჭრები სტირიან ისე ხმა-მაღლა, რომ ცაში ფრინველს აფრთხობენ და დედამიწაზე ყოველ ქართველს, რომელსაც თავის დღეში არ დაუშვიდდება მადა ნისიის გაყოლებისა: „აბა, ნათლი, შენ ნისიას როგორ დაგიჭერ, მაგრამ რასა იქ, როდესაც ასე ულმერთოდ დაეცა ვაჭრობა და ასე გაგვიძნელდა ას მანათიანის ასიგნაციების დახურდავებაც-კი. უპირველეს მაღაზიაშიც-კი ვერ დაგიხურდავებენ ას მანათიანს და აბა ჩემთან ნისიისთვინ როგორ მოსულხარო!“

ოზურგეთის ასრედ წოდებული ინტელიგენტიც, როგორც ყოველი ქართველი ასრევე წოდებული ინტელიგენტი, მუდამ უგემურად შეიქმნება ხოლმე, როდესაც-კი სიტყვა მოიტანს ან ქართულ თეატრს, ან ქართულ სკოლას, ან ქალების განათლებას, ან ქართულ ჟურნალსა და ან ქართულ წიგნს. იქაური ინტელიგენტიც დაიჭყანება ხოლმე, როდესაც მოჰკრავს ყურს ჩვენის წარსულის დიდებისას, თვალსა ჰხუჭავს და არ უნდა დაინახოს ჩვენის მამა-პაპის თავ-განწირულება სადიდებელად ქვეყნისა, წარსამატებლად ერისა და სხვა-და-სხვანი. იქაურ ინტელიგენტს იმიტომვე არ მოსწონს ამ გვარი ამბები, რატომაც სხვა ქართველ ინტელიგენტებს, ე. ი. ამისთანა ამბების გამგონემ ძალა-უნებურად უნდა შეადაროს თავისი ერთიბეწო თავი წინაპართა დიდებულებას, უნდა მოიგონოს თავისი მოვალეობა წინაშე ქვეყნისა და აბა რომელ აგრეთ წოდებულ ინტელიგენტს ამოაყოფინებ თავს რაღაც მოვალეობის უღელში, რომელსაც იმას ღვთით ჯერ ძალად არავინ ადგამს კისერზე. ამის გამო ოზურგეთის ინტელიგენტებიც

ტისმენტში აბაშიძემ კუპლეტები იმღერა, ბ-ნმა ბალანჩივაძემ ერთი ქართული რომანსი და „თამარის დროშა გაშალეს“ იგალობა და ბ-ნმა კ. ყიფიანმა წაიკითხა ი. ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“. ამ პოემის კითხვის დროს ცხოველი სურათებიც დასდგეს პოემის შინაარსიდგანვე. თეატრის მუსიკამ ქართული პოპური დაუკრა

*** ჩვენ მოგვივიდა ორი პატარა რუსული წიგნი ბ-ნ ვ. თაიროვისაგან, ერთია „Грибныя болѣзни виноградной лозы“, რომელიც დაბეჭდილი ყოფილა ჟურნალში: «Сельское Хозяйство и Лѣсоводство, № 1, 1889 წ.; ხოლო მეორეა — Анализы нѣкоторыхъ кавказскихъ винъ, რომელიც იმავე ჟურნალის მე-12 წიგნში ყოფილა დაბეჭდილი შარშან.

*** კვირას, 5 მარტს, საზაფხულო თეატრში ათინიდამ ჩამოსულმა ფრანგების დასმა მეორე ოპერეტი წარმოადგინა, სახელდობრ „Красное Солнышко“. პირველი წარმოდგენა ამ დასს ჰქონდა შაბათს, 4 მარტს. ამ წარმოდგენაშიაც, და მეორეშიაც თავი იჩინეს ქალბატონმა ლასალმა და ბ-ნმა შარლემ, ოპერეტის კომიკოსმა. ხალხი ბლომად დაესწრო ორსავე ოპერეტს. საზოგადოება დიდის სიამოვნებითა და ხალისით უგდებდა ყურს ახალის არტისტების მღერას და ადევნებდა თვალს მათ მოხერხებულს თამაშობას.

*** კვირასვე, 5 მარტს საარტისტო საზოგადოების დარბაზში იყო გამოთხოვების კონცერტი ტარტაკოვისა. ამ კონცერტში იღებდა მონაწილეობას აგრეთვე ზარუდნაიას ქალი. ტფილისში ორსავე მომღერალს კარგი ხმა აქვთ დავარდნილი და მათი სიმღერა მოსწონთ კიდეც აქაურს მუსიკის მოყვარეებს. კონცერტზე დიდძალი ხალხი დაესწრო. საზოგადოებამ დიდად ისიამოვნა და დაასაჩუქრა მეკონცერტე არტისტი გულ-უხვის ტაშის-კვრით.

*** ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორი ბ-ნი სმიტენი წავიდა ქუთაისს პროკურორების მოქმედების გასაჩხრეკად.

*** დღეს რუსეთის ფოსტა არ მოსულა, რადგანაც კავკავის გზაზე ადგილ-ადგილ თოვლი ჩამოწოლილა.

*** **მოსკოვი:** ბ-ნი ა. ხახანაშვილი 23 იანვრიდგან დაინიშნა ქართულის ენის მასწავლებლად ლაზარევის ლიცეიში. პირველი ლექცია ბ-ნმა ხახანაშვილმა წაიკითხა პროფესორების თანადასწრებით. ლექცია შინაარსით საინტერესო იყო და მოსაწონი. პროფესორებმა თანაგრძნობით მიიღეს პირველი დებიუტი ახალგაზდა ლექტორისა.

*** **თიანეთი:** დიდმა და გაუთავებელმა ზამთარმა ძრიელ შეაწუხა მცხოვრებლები. ღვინობისთვიდგან აშრალი დედამიწა თვალით არ დაგვინახავს. ჯერ ძველი თოვლი არ აელო და ეხლა კიდევ ერთ არშინამდე ახალი თოვლი მოგვემატა. სიცივემ და შიმშილმა გაგვიჭირა საქმე. ვის გაუგონია თიანეთში, სადაც ტყე ზურგზედ გვკიდია, საჟენი შეშა თუმანი და თხუთმეტი მანეთი იყოს. დღეს გულით რომ გვინდოდეს, ამ ფასადაც ვერა ვშოულვობთ. ტყიდგან ერთის მარხილის შეშის გამოსატანად კაცმა თუ ოთხი უღელი არ შეუბა, თოვლს ვერ გამოუვა.

*** 5 ამ თვისას, პირველს განყოფილებაში, ქალაქის ექიმმა მაღალოვმა პოლიციელების თანადასწრებით დაათვალიერა ტრაქტირები, ფურნეები, დუქნები და სხვანი. ზოგიერთებში აღმოაჩინა უვარგისი სანოვაგე და ხილეულობა. ექიმმა გადააყრევინა ხუთი ფუთი ხილი და ფუთ-ნახევარი ხორცი. აგრეთვე ექიმმა აღმოაჩინა, რომ სამზარეულოებში მოუკალავი ჭურჭელი ჰქონიათ და ამ ჭურჭლის ხმარება აღუკრძალა; დამნაშავენი-კი სამართალში მისცა.

*** პირველს განყოფილებაში, არტილერიის ხევში, პრიპუტნოვის სახლში, „კოლეჟსკი სოვეტნიკის“ ქალმა ბარბარე სმირნოვისამ, ოც-და-ერთის წლისამ, თავი მოიწამლა წყალში გახსნილის ფოსფორის წუმწუმით. გარდაცვალებულის გვამი საანატომიო თეატრში გაგზავნეს.

---

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი XIX)

„არქეოლოგიურნი ნაშთნი საჩეჩნოსა და ოსეთში“, ვსევ. მილლერისა.

ჩვენს წერილში «ისტორიული მიმოხილვა», რომელიც იბეჭდება „ივერიაში“, ქრისტიანობის შესახებ ვსთქვით, სხვათა შორის, რომ ეს სჯული ქართველებმა არა თუ მარტო თითონ შეითვისეს, არამედ იგი მოჰფინეს მეზობელს ხალხებშიაცაო. ამ საგნის შესახებ წინადაც ყოფილა ლაპარაკი ჩვენს მწერლობაში (გაზ. „დროება“ 1884 წ.). ეს-ეს არის მოგვივიდა I-ლი გამოცემა მოსკოვის არხეოლოგიურ საზოგადოებისა: „Матер. по Археол Кавказа“, რომელშიაც დაბეჭდილია ვრცელი გამოკვლევა ვს. მილლერისა.

ამ გამოცემაში, სხვათა შორის, მოქცეულია წერილები „არქეოლოგიურნი ცნობანი საჩეჩნოს ქვეყნისა, ოსეთისა, ყაბარდოსი“ და სხ. წიგნის წინასიტყვაობაში მოკლედ განხილულია დიდი მნიშვნელობა კავკასიის არქეოლოგიისა, ისტორიისა და ენათა მეცნიერების მხრივ. მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოება აცხადებს, რომ ამ ყოვლად შესანიშნავ ქვეყნის სიძველეთა გამოსაკვლევად საჭირო ფული გვიბოძა მისმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმაო. ამ უხვის შემწეობის წყალობით შეძლება მოგვეცა გამოგვეკვლია საჩეჩნო, ყაბარდო, ოსეთი, აფხაზეთი, ქუთაისის მხარე და სხ. შემდეგ პირველ გამოცემისა და იბეჭდება მეორე, მესამე და სხ. და განხილული იქმნება კავკასიის ყველა ნაწილების სიძველეო.

მილლერს მოჰყავს მრავალი მაგალითი ქართველთ ზედ-გავლენისა და კულტურისა საჩეჩნოსა და ოსეთში, მეტადრე-კი საჩეჩნოში. ამ ქვეყნებში დაშთენილა ძველი ეკკლესიები ქართულის ზედ-წარწერით, ნიმუშები ქართულის ხუროთ-მოძღვრებისა, სიტყვებისა და სხ. ამ გვარი სიტყვებია, მაგ., ჩეჩნურს ენაზედ: კირე (კვირა), კვირია (კირინდე), პერესკა (პარასკევი), მარხა (მარხვა), შეათთა (შაბათი), ჯარკ (ჯვარი) არიან მრავალი ნანგრევნი, ეკკლესიათა ნაშთნი, ჯვარნი და სხ., რომელთაც დიდ პატივს სცემენ დღესაც. ხალხი წელიწადში ერთხელ თავს იყრის მათ ეზოში და ლოცულობს, საღმთოებს უკლავს, სანთლებს უნთებს და სხ. მილლერს მოჰყავს სურათი და გეგმა თხაბა-ერდის ტაძრისა საჩეჩნოში: წიგნში დახატულია საყდრის კედლები, კარები, ფანჯრები, კანკელი და სხ. ნიშებზე, ქვებზე სჩანს ჩუქურთმა, ქანდაკება ყვავილებისა, ცხოველებისა, ადამიანებისა და სხ. აგრეთვე ქართული ხუცური ასომთავრული წარწერა, რომელთაგან ზოგიერთი წაშლილია, ან ასო-გამოკლებული. ჩუქურთმის შესახებ მილლერი ამბობს, რომ იგი არის ქართული ხელოვნებაო. წარწერათა ასახსნელად და ხსენებულ ტაძრის აგების დროის შესახებ მილლერს მიუმართავს ბ-ნ დ. ზ. ბაქრაძესათვის, რომელსაც თითონაც უნახავს ეს ტაძარი და მისნი წარწერანიც გადმოწერილნი ჰქონია თხუთმეტიოდე წლის წინად. წარწერათა და ტაძრის შენობის ყაიდის მიხედვით დ. ზ. ბაქრაძე ჰფიქრობსო, ამბობს მილლერი: რომ თხაბა-ერდის ტაძარი აგებული უნდა იყოს არა უგვიანეს 830 წლისა. ამას გარდა მილლერს გადმოუწერია მხოლოდ სამი წარწერა, ხოლო დ. ბაქრაძეს დროს აქ ყოფილა ოთხი წარწერა. აი თვით წარწერანიც:

პირველი: ქრისტე ადიდე ადმაშენებელი ტაძრისა პატრონი დავით, ერისთავი ასსისა *).

მეორე: უფალო, აკურთხე ეპისკოპოსი გიორგი.

მესამე: უფალო საბაო, მოიხსენე ეპისკოპოსი გიორგი.

მეოთხე: ქორონიკონი 6 (830?)

იქვე აგურზედ მილლერს შეუნიშნავს სხვა წარწერაც, რომელიც ბაქრაძეს წაუკითხავს ასე: ქრისტე, შეუნდენ იოანნეს.

რომ ჩეჩენნი საქართველოს კულტურის ზედ-გავლენის ქვეშ ყოფილან, ეს მტკიცდება თვით ხალხის გადმოცემითაცო. მრავალნი აქაურნი გვარნი დარწმუნებულნი არიან, რომ იგინი შთამომავლობენ ქართველთაგანო.

ასეთივე გავლენა ჰქონიათ ქართველებს ოსეთზედაც. ოსეთშიაც დაშთენილა კვალი ამ გავლენისა. მათი „ძუარი“ არის ნაშთი ქართველთ ჯვარისაო. ოსები ყველა ეკკლესიებს, რომელნიც-კი დაშთენილა მათ ქვეყანაში, მიაწერენ საქართველოს დედოფალს თამარსაო. ეკკლესიების ქართული წარწერაც გვიმტკიცებს მათი მაშენებელნიო. სოფ. ძიგევს ეკკლესიის ზარზედ აწერია ქართულად: «მე, მეჟემან ქართლისა, პატრონმა გიორგი, ქორონიკონსა ტა, შემოგწირე ზარი ესე შენ, ძიგევს წმიდა გიორგის, რათა მოგვეანიჭოს ჩვენ გამარჯვება». მეორე ზარზედ: „მე მაჰმად არნალდაქის ძე ძაგევს წმ. გიორგის გწირავ ამ ზარს. ჰბრძანოს უფალმან, რათა ხმასა ამისზე შემოიკრიბნენ თაყვანის-ცემად და სადიდებლად შენდა“.

წარწერა რეკორის ტაძრის ზარისა: «ჩვენ ბაგრატიონმან, ძემან დიდებულის მეფის ჯინდარისძისმან გიორგიმ მივართვი ესე ზარი და ლოცვანი წმ. მამას, წმ. ოსეთისა და დიგორის მხრისა, სულის ჩვენისა საოხად და საძლეველად მტერთა ჩვენთა».

უმეტესად შესანიშნავია ნუზალის ტაძარი. მისი შენობა, ქანდაკება და ჩუქურთმა წმინდა ქართულიაო. ჰხატიან წმინდანნი ქართულის ტანსაცმელით და ქართულისავე წარწერით. წმინდანებს აცვიათ მოკლე მკლავებიანი ქართული ახალოხები, ჰხურავთ ქართული ქუდები, ჯვარზედ არის ქართული წარწერა. მონადირის სურათის ფეხთით აწერია ქართულად „სოსლან“, წმ. გიორგის ფეხთით; სუარეგ, რომელიც ჰფიქრობენ რომ იყო მამა დავით სოსლანისა, თამარის ქმრისა. სოსლანი ოსებს წმინდანად მიაჩნიათ. ზოგიერთგან ოსეთში, მაგ., სოფ. გული-ში, მას საღმთოებს უკლავენო და სხ.

ესოშ

*) ასსი მდინარეა, რომლის ნაპირზედაც აგებულია თხაბა-ერდის ტაძარი.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

ჩემს პასუხში: „პასუხი ბ-ნ სილოვან ხუნდაძეს“ მოჰხდა შემდეგი უმთავრესი კორრექტურული შეცდომები.

---

საშინელი კრიტიკანები არიან და არ მოსწონთ არც უწინდელი ისეთი რამ, არც აწინდელი, სადაც-კი საჭირო ყოფილა და არის არა ცარიელი რახარუხი ცარიელის სიტყვებისა, არამედ გარჯა, მხნეობა და ერთგული სამსახური ქვეყნისა. ერთის სიტყვით, ოზურგეთის ახალგაზდობაზედაც თამამად შეგიძლიანთ სთქვათ გლეხური ლექსი:

ბვერაი მოიქმაზება,
მოიღამაზებს პირსაო;
მარჯვეში კაი ბიჭია,
მარცხეში არად ღირსაო...

**

რაც გნებავდეთ, დაასახელეთ, და აღმოჩნდება, რომ ოზურგეთი ყველაფერში უდრის დანარჩენ ქართულ ქალაქებს. იგივ უზრუნველობა, იგივ დოყლაპიობა, იგივ მოუფიქრებლობა და იგივ გაუტანელობა ურთი-ერთისა. იქაური ერი, ბერი, მღვდელი, მნათე, გზირი ყველაფერში მოგაგონებთ სხვა ქალაქების ერს, ბერს, მღვდელს, მნათესა და გზირს. ოზურგეთის მოხელესაც უპყრია ხელში კარგა მჭრელი დუქარდი და ერთგულადა ჰპარსავს ისეთს ცხვრებსაც-კი, რომლების ზურგზე დიდი ხანია ულონო ბუსუსსაც ველარ მოუკიდნია ფეხი.

ოზურგეთის ქალებიც დილიდამ საღამომდე სხედან გულ-ხელ დაკრეფილნი, კრიალოსნის ჩათვლაც-კი ეზარებათ, მაგრამ ბასრის ენით ჰკორიკანობენ თვისზე, ტომზე, ყველაზე და თავ-თავიანთ თავსაც-კი არა ჰზოგავენ, სწორედ ისე, როგორც ყველა სხვა ქართულ ქალაქებში. აგრეთვე ვაჟკაცებიც სულ იმის ფიქრში არიან, რომ თავი არ შეირცხვინონ და არ ჩამორჩნენ ქალებს ამ სახარბიელო ხელობაში.

ოზურგეთსაც ისე იკლებენ ქურდები და ყაჩაღები, როგორც ბათუმს, ფოთს, ქუთაისს, ახალციხეს, გორს, ტფილისს, სიღნაღს, თელავს, ზაქათალას და სხვებს. მსგავსება იქამდე გასაოცარია, რომ, ასე გასინჯეთ, ერთი რაღაც წიტრიკა „ბაზრის წყალიც“ ისე აოხრებს ხოლმე ოზურგეთს, როგორც სხვა ქართულ ქალაქებს სხვა წიტრიკა მდინარენი.

იქაურ ბაზრის ჩაყოლებაზე სხედან დარბაისელი „ხაზაინები“ და ისე მადიანად ამთქნარებენ, რომ სრულიად ფხიზელს კაცსაც-კი უცბად მოჰგვრიან ძილს. სხედან კვირით კვირობამდე, წლითი-წლობამდე და უსაქმურობისა გამო სთვლიან, დღეში რამდენი ბუზი ჩაირჩობს თავს უდროვოდ მათს დაღებულს პირში. სულ ასე ისხდებოდნენ, რომ გაზაფხულობით თავს არ მოიგიჟიანებდეს ხოლმე მათი გიჟმაჟი „ბაზრის წყალი“, რომელზედაც თურმე ზაფხულში და დანარჩენ დროს ქათმებიც-კი უშიშრად დასეირნობენ ერთის ნაპირიდამ მეორე ნაპირამდე.

ეს ერთი რაღაც წიტრიკა მდინარე ითმენს „ხაზაინების“ უძრაობას მთელი წელიწადი, მაგრამ გაზაფხულობით-კი, როდესაც ყველაფერი იღვიძებს მიდამო ბუნებაში და ყველა სიცოცხლისკენ მიისწრაფება, გარდა ოზურგეთლებისა, მაშინ-კი ეკარგება «ბაზრის წყალს» მოთმინება, გადმოდის ნაპირებიდამ და ერთს ყოფას აწევს იქაურობას, რომ ამითი მაინც გამოაფხიზლოს ტკბილს ძილში გართული უზრუნველი ოზურგეთი.

სხვაგან სადმე სიცილადაც არ ეყოფა უქოლელ ქალაქს გიჟმაჟობა ამისთანა მეტიჩარა მდინარისა, მაგრამ ოზურგეთში, ბატონებო, ტირილადაც საკმარისი გახლავთ, იმიტომ რომ, ბ-ნ აკაკის თქმისა არ იყოს,

სპილოსთვის ღომი კატაა,
თაგვისთვის კატაც ლომია.

მართლაც საკვირველია, თქვენმა მზემ. წელიწადი არ გავა ისე, რომ „ბაზრის წყალი“ არ მოესიოს ოზურგეთს თავიდამ და არ დააჩინოს კვალი ბოლომდე. რამოდენა ზარალს აძლევს მოქალაქეთ, მაგრამ ოზურგეთლები მარტო წყალ-დიდობას-კი შეიჩმუჩნებიან ცოტა ოდნავ, მიჰყრი-მოჰყრიან თავიანთ ბარგ-ბარხანას, ვიდრე წყალი ჩავარდება, და მერე იმ წამს ამოუშვებენ ისეთს უდარდელს ხვრინვას, თითქო მათზე ბედნიერი ქვეყანაზე კაცი აღარ გაჩენილაო ღმერთსა. ერთი ეს არის გასაშტერებელი — თუ იმ კაი კაცებს მაგრე ძალიან უყვართ ძილი და მის მიერ მოვლენილი სიტკბოება, ბარემ ერთხელ და სამარადისოდ დაასწრობდნენ მდინარეს, თავის თავად გამოუფხიზლდებოდნენ, მისცემდნენ ურთიერთს ზურგსა, გაამაგრებდნენ ამ ლაწირაკს წყალსა და მერე სძინებოდათ თუნდა მეორედ მოსვლამდე. მაგრამ რასა იქთ, ბატონო, იქ, სადაც ყველაფერი ღვთის ანაბრად არის თავ-მინებებული, სადაც ყველა თავის სოროში მიმალულა და არავის ახსოვს არც მეზობელი, არც საზოგადოება, არც სოფელი, არც ქალაქი, არც ქვეყანა და არც ქვეყნის ავ-კარგიანობა. ერთობამ, ამხანაგობამ, საზოგადო საქმემ, საზოგადო აზრმა და გრძნობამ დიდი ხანია თავი დაუკრა ქართველობას, გამოემშვიდობა დიდის ხნით და აბა მიბრძანეთ,

კაცმან ვით ჰპოვოს, ღვთისაგან
რაც არა დანაბადია!..

იტყვით — არც მაგრე შეიძლება დაავოლოს ვინმემ ოზურგეთიო. რა უნდა მოსთხოვოთ მაგისთანა პატარა ქალაქსაო, სადა აქვს იმოდენა შეძლება, რომ ახლა მდინარის გამაგრებაზე ინაღვლოსო!..

ძალიან კარგი. ვსთქვათ, ოზურგეთი მართლა პატარა ქალაქია. მაგრამ ჯერ ერთი ესა, რომ არც ის „ბაზრის წყალი“ გახლავთ დიდი მდინარე და ამიტომ მასთან ბრძოლა ყარსის აღებას არ უდრის. გინდ ეგეც არ იყოს. ეს ჩვენი დარბაისელი გორიც განა სიპატარავით ეჩაგვრინება

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 40-ში ნათქვამია: „რომელისამე მათგანის უპირატესობა“. უნდა იყოს: „რომელიმე მათგანის უპირატესობა“.

№ 44-ში არის: „თუ რომელსამე ენაზედ არის“. უნდა იყოს: „თუ რომელიმე ენაზედ არის“.

№ 45-ში არის: „მოგყვანდა“. უნდა იყოს: „მოგვყვანდა“. ამავე ნომერში არის: „მაშ მეორე პირი იქნება „გვავს“ და პირველი „მგავს.“ უნდა იყოს: „მაშ დანარჩენი პირები იქნებიან: „გვავს, მგავს“.

ქვევით არის: „1093 გ. ტ. და 77 ტ“. ეს უნდა იყოს ზემოთ, სადაც ლაპარაკი არის სიტყვაზედ „ჰგავს“.

№ 46-ში არის: „არამედ მით, იმათ“. უნდა იყოს: „არამედ მათ, იმათ“. ბოლოში არის: „მელია“, უნდა იყოს: „მელი“.

არ. ქუთათელაძე

## უცხოეთი

**სერბია.** პირველად მეფე მილანს გრაფ კალნოკისთვის მიუწერია ავსტრიაში, რომ სამეფო ტახტზედ მინდა ხელი ავიღოო. კალნოკის ეს ამბავი იმპერატორ ფრანც-იოსებისათვის შეუტყობინებია. იმპერატორს შეუთვლია მილანისათვის: გაფრთხილდი, ისეთი არა მოიქმედო-რა, რომ მერე სანანურად გაგიხდესო. მაგრამ ამ გაფრთხილებას ვერ უშველია მილანისათვის. ჩემი სამეფოს მდგომარეობა და აგრეთვე ჩემი ჯან-მრთელობა ისეთია, რომ გადადება აღარ შეიძლება ტახტის უარ-ყოფისაო, მიუწერია პასუხად მილანს ფრანც-იოსებისათვის. ამას გარდა მილანს შეუჩივლია ავსტრიის ელჩისათვის, რომ ავსტრია მხარს არ მაძლევდა ხშირად ისე, როგორც სასურველი იყო ჩემთვისაო; ვენაში დიდის ამბით მიიღეს ჩერნოგორიის მთავრის გასათხოვარი ქალებიო. ყოველ ამას შემდეგ ერთად-ერთი სახსარი იმისი, რომ გვირგვინი არ დაეუკარგო ჩემს შვილს, ეს ჩემი გადაწყვეტილებააო. სხვაც რომ არა იყოს-რა, მეტად ავადა ვარ, მეტად მოვიღალეო.

— ვიდრე ახალგაზდა მეფე სერბიისა ალექსანდრე I მცირე-წლოვანია, სამეფო საქმეებს სერბიისას განაგებენ რეგენტები, რომელნიც მილანმა თვით აირჩია. რეგენტები არიან: ივანე რისტიჩი, გენერალი კონსტანტინე პროტიჩი და გენერალი ივანე ბელიმარკოვიჩი. რისტიჩი დაიბადა 1831 წელს. ღარიბის დედ-მამის შვილია. განათლება მიიღო გერმანიაში. სახელმწიფო სამსახური დაიწყო ილია გარაშანინის მთავარ-მინისტრობის დროს და მალე გამოიჩინა დიდი სადიპლომატო ნიჭი. 1867 წელს რისტიჩი გარეშე საქმეთა მინისტრად იქმნა არჩეული, მაგრამ რისტიჩმა უარი სთქვა, რადგანაც მაშინდელი მთავარი სერბიისა მიხეილ ობრენოვიჩი და რისტიჩი ვერ მორიგდნენ ზოგიერთის საგნის გამო. მაგრამ შემდეგ, როცა გამეფდა მცირე-წლოვანი მილანი, რეგენტად, სხვათა შორის, რისტიჩიც აირჩია სკუპჩინამ. 1875 წლიდამ, როცა ჰერცოგოვინაში აჯანყება დაიწყო, რისტიჩს კვლავ დიდი მნიშვნელობა მიეცა. 1878 წელს რისტიჩი დესპანად იყო გაგზავნილი ბერლინში კონგრესზედ. 1880 წელს შემდეგ რისტიჩმა დაჰკარგა ნდობა მილანისა და კარგა ხანს არავითარი მოთავეობა აღარა ჰქონია-რა. მხოლოდ სლივნიცთან დამარცხების შემდეგ სერბებმა კვლავ მოიგონეს რისტიჩი, რომელიც შეირიგა ისევ მილანმა და 1887 წელს მიანდო კაბინეტის შედგენაცა. ბოლოს რისტიჩი და მეფე მილანი დამეგობრდნენ კიდეც, რაკი რისტიჩმა მეფეს მხარი დაიჭირა იმ დავაში, რომელიც მეფესა და დედოფალ ნატალიას შორის ასტყდა.

— გენერალ კონსტანტინე პროტიჩს პირველად სამხედრო მინისტრობა ერგო 1873 წელს. 1876 წ. ომის დროს უფროსი იყო გენერალურის შტაბისა. ომს შემდეგ მილანის სახლთ-უხუცესობა მიიღო. მილანს პროტიჩი ძალიან უყვარდა და ერთმანეთში დიდი მეგობრობა ჰქონდათ. 1879 წელს უსიამოვნება მოუვიდათ მეფესა და გენერალს და პროტიჩი სამსახურიდამ გადადგა. ბოლოს, 1888 წელს ხრისტიჩის სამინისტროში კვლავ სამხედრო მინისტრად შეიქმნა და მილანმა ვისბადენში გაჰგზავნა, ჩემი შვილი ალექსანდრე გამოართვი დედას და მოიყვანე სერბიაშიო. პროტიჩი იმითია შესანიშნავი, რომ ძალიან სასტიკი კაცია და უფროსობაში მოსვენებას არ აძლევს თავის ხელ-ქვეითებსა. გარაშანინის დასში დიდ-ძალი მომხრე და მეგობრები ჰყავს.

— გენერალი ივანე ბელიმარკოვიჩი მეგობარია რისტიჩისა და შესამჩნევ მოღვაწედ ითვლება ლიბერალთა დასში. იგი ინჟინერია ხელობით. სამხედრო განათლება ბერლინში აქვს მიღებული. ამ კაცმა დიდი საქმეები გაარიგა 1858 წელს, როცა ბელგრადის ჯარების უფროსად იყო და როცა აჯანყების გამო დაჰკარგა ტახტი სერბიისა ალექსანდრე ყარა-გეორგევიჩმა, რომლის მაგიერად იქმნა არჩეული მიხეილ ობრენოვიჩი. 1868 წლიდამ 1873 წლამდე სამხედრო მინისტრად იყო, მაგრამ რადგან ამ კაცს დაჰბრალდა, რომ ფულის ანგარიშების საქმე არეულია სამხედრო სამინისტროშიო, იგი იძულებული იყო სამსახურიდამ გადამდგარიყო, თუმცა თვით ბრალდების საქმე მილანმა და მისმა მეგობარმა მთავარ-მინისტრმა მარინოვიჩმა ჩააფუჩეს. 1887 წელს მორავიის ჯარის მხედართ-მთავრად იყო დანიშნული. 1880 წელს რისტიჩის გადადგომის გამო სამსახურიდამ ისიც კვლავ გადადგა და საპოლიტიკო მოღვაწეობას მიჰყო ხელი. ამ მოღვაწეობაში ავსტრიელებსა და გარაშანინის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა.

## წვრილი ამბები

ტფილისელთა ნაცნობს ბ-ნს ფელდმანს, რომელიც ამას წინად დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდგან, წარსულს იანვარში თავისი ჰიპნოტის საშუალებით ადამიანის დამინების ხელოვნება უჩვენებია დიდის მთავრის ვლადიმირ ალექსანდრეს ძეს სასახლეში ს.-პეტერბურგს.

ეს ხელოვნება პირველში იმითი დაწყებულა, რომ ფელდმანს გრაფინია შუვალოვისათვის შთაუგონებია სხვა-და-სხვა აზრი დიდის სისწორითა და სისწრაფით და [illegible] იქ მყოფნი გაუოცებია. ყველაზედ საკვირველი-კი ჰიპნოტის ცდა ყოფილა.

ფელდმანს დაუსვამს ს—ნი, მაგარის აგებულებისა და სორციანი ყმაწვილი კაცი, ოთახის შუა ადგას სკამზედ და უთქვამს, რომ ჩემის საათის რომელსამე ნაწილს დააცქერდი თვალ-დაუხამხამებლივ. სულ სამის წამის შემდეგ დამინებული ყოფილა ბ-ნი ს—ნი. ბ-ნ ფელდმანს დაუკრავს ხელი ს—ნისათვის და ს—ნს ისეთი ძილი ჰქონია, რომ თვალების გამოუხელელად მიჰყოლია ფელდმანს. ამ დროს ხელოვნების მნახველთ არ გაუვლიათ ორმოცდა ათი წამისთვის ერთი წამი, რომ ამ ხნის განმავლობაში ფელდმანმა ს—ნს უთხრა, ძილში ხარ, ფეხზედ მდგარი, ხელები წინ გაუწვდენია და აი ასე, ესმის სულ ერთ-ერთ მესამე ნაწილში საათისა. ფელდმანმა ისეთი ღონე შეჰმატა, რომ ს—ნს თვალები მიჭყლიტა, აკრთომით დაამუხრუჭა, რომ შემოაღე თვალები ს—ნს ერთი წუთი. ისეთი რამ სთქვა, რომ ს—ნი მიადგა ფელდმანს, ფეხი გასწია; ფელდმანმა ფეხი და ხელები შეუხსნა, თვალებზედ ხელი ჩამოუსვა და ს—ნმა თვალები გაახილა, ხოლო ეს რა შემთხვევა მოუვიდა, არ იცოდა. ამბობდა თურმე, ვერაფერი ვიგრძენიო, მოგონება არაფერი მაქვსო. არამედ უცბათ წამოიწია, რომ ძილი ნახა, თითქოს სიზმრით მეტად შეწუხებული იყო და ცოტა ხანს მოსვენებულად ვერ იდგა.

ტერებითაო, არ გაუვლია სამს წუთს, რომ ს—ნს თვალები მიჰქლიყვია, ასცრემლიანებია და დაუძინია.

— გემინოთ მაგრად და უხემ-ბრძანებოდ არ გამოიღვიძოთო,— შთაუგონებია ფელდმანს დამინებულისათვის.

შემდეგ ს—ნისთვის სხვა-და-სხვა გვარი ოცნება და ლანდი წარმოუდგენიათ. ფელდმანის შთაგონებით, თევზის მჭერ ხომალდის კაპიტნად წარმოუდგენია თავი ს—ნს. ეს ხომალდი კრონშტატიდგან მიმავალს. თვალებ-ახილებული, მაგრამ დამინებული ს—ნი აგერ ბრძანებას აძლევს მოლანდებულს მატროსებს. იგი უკვე შუა ზღვაშია და შვეციის ნაპირებს უახლოვდება. ზღვა აბობოქრებულია. ხომალდის აფრანი იზნიქებიან და ლაწა-ლუწი გააქვსთ. ამ დროს მოისმის საშინელი რახუნი— ხომალდი უშველებელს ქვას დაემგვრა და დაზიანდა. წყალი შესდის ხომალდს და სძირავს. ყველა პაწია ნავებში სხდება, კაპიტანი საჭესთან არის. ზღვა საშინლად ჰღელავს, აღშფოთებული ტალღა მზად არის შთანთქას პაწია ნავი, თუმცა-კი შვეციის ნაპირები უკვე მოსჩანს. აგერ უეცრად ზღვირთმა აიტაცა ნავი და გადმოაბრუნა. ყველანი წყალში ჩაცვივდნენ. კაპიტანს უნდა გადმობრუნებული ნავი დაიჭიროს, მაგრამ ამაოდ, ზღვა წაართმევს და შორს წაიღებს. იგი სცურავს ნაპირისკენ... და მართლაც ბ-ნი ს—ნი ამ დროს გაიშალა თურმე ოთახის იატაკზე და დაიწყო ხელებისა და ფეხების შლა-კუმშვა, თითქოს სცურავსო.

აი კიდეც... კაპიტანი ავიდა კიდეზედ. დაღალულია. წყალი კოკი-პირულად სდის. სცივა. ჰკანკალებს... და დამინებულმა ს—ნმაც საშინელი სიცივე იგრძნო და აცახცახდა.

შორიდგან რაღაც გამოჩნდა და ს—ნისკენ მიიწევს. კაპიტანი თვალ-ყურს ადევნებს და უეცრად დაინახავს, რომ უშველებელი დათვია, მაგრამ ს—ნი შეიარაღებულია, ქამარზედ დამბაჩა და ხანჯალი აკრავს. კაპიტანი საჩქაროდ გამოუცვლის გულას დამბაჩას და დათვს დაუსისწვრივებს. აგერ მოისმა ხმა სროლისა და ნადირი სასიკვდილოდ დაჭრილი დაეცა. დამინებული ს—ნი გამარჯვებულია...

ამ დროს ბ-ნი ფელდმანი მივიდა თურმე და დამინებულს მაგნიტი შეახო შუბლზედ.

დამინებულს სუნთქვა შეეხუთა და დასცხა. ეტყობოდა, რომ თავი სადღაც თბილს ქვეყანაში ეგონა. აგერ აქეთ-იქით მიმოიხედება და მშვენიერს მცენარეებსა ჰხედავს.

დამინებული აღტაცებაშია მოსული ბუნებით. მაგრამ ეს რა არის?.. ბუჩქებში რაღაც იძვრის. დააცქერდა ს—ნი და, თავისდა საუბედუროდ, დაინახა საშინელი გველი. მაგრამ არა უშავს-რა, დამბაჩა აქვს და სროლაც კარგი იცის. ს—ნი დასცლის დამბაჩას და იქვე სულს ანთხევინებს საშინელს ნადირს.

მაგრამ ამითი არ გათავებულა, აგერ ბუჩქებში კვლავ რაღაც მოჩრიალობს, იკლაკნება, იხვევა და ს—ნს უახლოვდება. აგერ დაუახლოვდა და საშინელი პირი დააღრინა, უნდა გადაჰყლაპოს დაღალული და მოქანცული ყმაწვილი კაცი ბოამ. ბოა ერთ-გვარი გველია, რომელიც კაცს შემოეხვევა გარშემო და გასრესს, დაარჩობს ხოლმე. დამინებული უკანასკნელს ღონეს იკრებს და დაიწყება სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა. ბოა შემოეხვევა, მაგრამ ყმაწვილი კაცი ხანჯლით თავს აგდებინებს...

მთელი ეს ამბავი, როგორც ვსთქვით, მშვენიერს სასტუმრო ოთახში სწარმოებდა თურმე. დამინებული ს—ნი, ნაოცნებისა და მოლანდებულის თანახმად, ხან ხომალდს უფროსობდა, ხან შეშინებული გაჰკიოდა. ფელდმანის ასეთმა ხელოვნებამ დიდი მოქმედება იქონია თურმე იქ დამსწრეებზე.

საყურადღებოა აგრეთვე შემდეგი გარემოებაც: წასვლისას ფელდმანმა შთააგონა თურმე ს—ნს, რომ ჩაის ოქროს კოვზი წაიღე თანა, როცა წახვიდე, და ოთხს დღეს შემდეგ, საღამოს $5^1/_2$ საათზე, თითონ დიდს მთავარს თ. ვლადიმირ ალექსანდრეს ძეს გადაეციო.

მართლაც-და გამოღვიძებისას ს—ნმა კოვზი ჩაიდო თურმე ჯიბეში შთაგონებისამებრ და თან წაიღო.

7 იანვარს, კვირას, საღამოს სწორედ $5^1/_2$ საათზედ, ბ-ნი ს—ნი მივიდა სასახლეში საშინლად აღელვებული და განაცხადა თურმე, რომ მისი უმაღლესობა დიდი მთავარი გინდა თუ არა უნდა ვნახოო. რომ აჩვენეს, მაშინვე მივიდა თურმე მის უმაღლესობასთან და მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა კოვზი შთაგონებისამებრ გადასცა.

---

ერთს წიწკნა ლიახვსა?! განა სიპატარავით მოსდის, რომ ყოველ წლივ აქცევინებს ლობეებს, ქოხებს, დუქნებს, ზოგს კარგა მოზრდილ სახლებსაც და აღუპვინებს თითო ხელობაზე ოთხას-ხუთასის თუმნის მასალას! სულაც არა, თქვენმა მზემ. თუ პატარა ქალაქია, მაშ როგორ უძლებს მაგოდენა ზარალს ყოველ წლივ, განუწყვეტელად. როგორ ახერხებს, რომ ყოველ ზაფხულს კვლავ ამაგრებს ლობეებს, აშენებს სახლებს და თანაც იცის, რომ მერმისს ისეთივე დღე დაადგება მოუსვენარის ლიახვისაგან!

არა, ჩემო კარგებო, საქმე სიპატარავეზე არ გახლავთ. თუ ოზურგეთი წყლის საქმეში ასე საკვირველად ემსგავსება გორს, ეგ მარტო იმისი ბრალი გახლავთ, რომ იქაც ქართველები სცხოვრობენ და აქაც, და ქართველი კაცი ხომ დღეს აქაც და ყველგანაც ერთი და იგივეა, ყველგან მოშვებული, მოდუნებული, ყბა ლია დამძინარა, აღარ უცემს ის საზოგადოებრივი მაჯა, რომელიც არ დაგიდევდა სიდიდესა თუ სიპატარავეს, რომელიც ქართველს მამაცად ათქმევინებდა ხოლმე — ცოტანი ვართ, მაგრამ ქართველები გახლავართ და არას შევუდრკებითო. აბა სწორედ ამ საზოგადოებრივმა მაჯამ ააგო მიუვალი ციხე-კოშკები, გასაშტერებელი ეკკლესიები თვით უფსკრულის ნაპირებზედაც-კი, იმ მაჯამ გაატარა ქანქანები და მილები კლდესა და ღრეებში, იმან შეინახა და განაძლიერა ჩვენი ერთი ბეწო ქვეყანა და მოუპოვა სახელი დაწინაურებულ ერთა შორის. ის მაჯა აღარ უცემს ქართველ კაცს და ეხლა თვით საცოდავი „ბაზრის წყალი“ სწორეთ ნიაგარის წყალ-ვარდნილია უბადრუკ ოზურგეთისთვის და ლიახვი გახლავთ გორისთვის თანასწორი ამხანაგი დიდებულის ნილოსისა, რომელსაც კაცის ღონე ჯერ საკმარისად ვერ იმაგრებს წყალ-დიდობაში. დიაღ!..

**

ჩვენი აგრეთ წოდებული ინტელიგენტი აქაც მომწყდება პირში და გესლიანად მისაყვედურებს, რომ ვიგონებ ჩვენის ქვეყნის წარსულს— რა დაგემართათ, სულ ხომ საფლავებისაკენ არ გექნებათ მიქცეული პირი! დაივიწყეთ ხავს-მოკიდებული არხეოლოგია და უცქირეთ აწინდელსაო“. რა ვქნა, თქვენი ჭირიმეთ, რომ უღონო აწინდელის მაყურებელს ძალა-უნებურად მაგონდება ძლიერი წარსული და მრცხვენიან, რომ მაშინდელი ქართველი დღევანდელ ვირაცუად გარდაქმნილა და ზედაც დაჰკვრია ზედ-შესრული სახელი „გიჟი“. ასე რომ ქარველი კაცი დღეს გახლავთ მხოლოდ „გიჟ-ვირაცუა“ და მეტი არაფერი. მოდი და ნუ გასწითლდები, ნუ დაიწვები სირცხვილით!..

მაგრამ ნუ გავსცდებით საგანს დღევანდელის საუბრისას. ჰო, იმას მოგახსენებდით, რომ გორს სიპატარავით არა ჰბრიყვობს ლიახვი და ოზურგეთს—„ბაზრის წყალი“-მეთქი. აბა ჩვენს დედა-ქალაქს ტფილისზე ხომ ვერავინ მოაჰორებს პატარაობას. მადლობა ღმერთს, ამ ქალაქში დღეს თითქმის ას-ოცი ათასი სული ხალხი ცხოვრებს. მაგრამ აბა შეჰხედეთ, რა დღეში არიან მოქალაქენი, რომელნიც მტკვრის ნაპირებზე დასახლებულან! დადგა თუ არა გაზაფხული, მას აქეთ დასჩემდა ამ მოქალაქეთ ერთი, საშინელი ცახცახი და კანკალი, თითქო ათფაზეთის ციებ-ცხელება გადაჰკიდებიათ, ან წარღვნას ელოდებიანო. სწორე მოგახსენოთ, საბუთიცა აქვთ ცახცახ-კანკალისა. მტკვარს როდი უყვარს გიჟმაჟობა რაღაც ლიახვისა თუ ოზურგეთელ „ბაზრის წყლისა“. ეს თუ მოდიდდება, ისე მოდიდება, რომ მართლა ერთი რაღაც დამთხვეულსა და გაშმაგებულს მდინარესა ჰგავნდეს და თან გაიტანოს რაღაც ქოხები-კი არა, არე-მარე, კლდე და ღრეც. მოდი და ნუ აკანკალდება ის მოქალაქე, რომელსაც რიყეზე გაუკეთებია თავისთვის ბინა და შეუფარებია თავი. განა მუდამ ისე ჩაივლის ამ მდინარის მოდიდება, როგორც შარშან ჩაიარა-რა. და შარშანაც მხოლოდ შემთხვევამ გადაარჩინა ხალხი, თორემ ერთს ღამეს ბარე სამას-ოთხასი კაცი დაირჩობოდა, იმიტომ-რომ უცებ მოვარდა წყალი და რიყეზე თითქმის მეორე სართულებშიაც-კი ნახევრამდე წყლით აივსო სახლები. კარგია, დროზე შეატყობინეს და ხალხი გაიხიზნა იქიდგან, თორემ, შენი მტერი, ჩვენს ქალაქს უბედურება ელოდდა. მართალია, ქონებრივი ზარალი რამდენიმე ათასი თუმანი იყო, მაგრამ ხალხიმაინც არ დაურჩევია გაშფოთებულს მტკვარს.

შარშანდელს აქეთ ტფილისელებს ხელიც არ გაუნძრევიათ, რომ როგორმე დაჰხვედროდნენ მტკვრის გაფთრებას. მხოლოდ „გააპაჩინკეს“ თავიანთი სახლები და მეტი არაფერი. ეხლა-კი ვხედავთ, რომ მტკვარი წელსაც ჩვეულებისამებრ ოინებსა გვპირდება, მაგრამ რა არის, რომ ვხედავთ! რა გამოვა აქედამ, გარდა განუსაზღვრელის შიშისა, კანკალისა და ცახცახისა. ნეტა არ იქნება წელსაც მარტო ამ შიშსა, კანკალსა და ცახცახზედ ჩაიაროს, გინდა რამდენიმე ათასი თუმანი ზარალიც ინაცვალოს ამ გულ-ამღვრეულმა მდინარემ, ოღონდ ისე ნუ მოგვასწრობს, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა თავი ვეღარ დააღწიონ მტკვრის ტალღებს. დღეს მხოლოდ ეს არის ტფილისელების სალოცი და სანატრო. უეჭველია, მერმისსაც და იქითა, უფრო იქითა და კიდევ იქითა მერმისსაც ასეთს ყოფაში იქნება ჩვენი უზრუნველი ტფილისი. ტყუილად-კი არ უთქვამთ:

უზრუნველი ქვაზე დაჯდეს,
ქვა ქვაზედა დაემატოს.

სანო

ზი გადასცა. ამასთან ეთქვა, რომ რაღაც უსიამო და საოცარი ძალა სასახლისაკენ მეწეოდა და ვერ მოვისვენე, მანამ არ მოვედიო.

# დეპეშა

4 მარტი

ოდესა. დღეს გემმა „ჩიხაჩოვმა“ ჩამოიყვანა 126 აშინოვის მხლებელი. თითონ აშინოვი, რამდენიმე ოსი, არხიმანდრიტი პაისი და სხვა მისიონერები გაგზავნეს შხუნით სევასტოპოლში.

სოფია. ცნობილი მომხრე როდოსლავოვისა ვულჩევი შეიპყრეს ქუჩაში იმისმა დედამ და ცოლმა მიმართეს პრინც ფრიდრიხს და სთხოვეს დახმარება.

5 მარტი

პეტერბურგი. ლონდონის გაზეთი „Morning Post“-ი იუწყებოდა: ავღანის ემირმა საქვეყნოდ აღიარა, რომ რუსეთის საწინააღმდეგო არა მქონდა რაო. „Journal de St.-Pétersbourg“-ი ამბობს, რომ აბდურახმანხანს ხელს არ მისცემს რუსეთთან ქიშპობა. ემირმა რომ რამე განიზრახოს რუსეთის წინააღმდეგ, დიდს საფრთხეს მოუმზადებს ავღანისტანსაო. რადგანაც ბევრი ლაპარაკი იყო აბდურახმან-ხანის გამო, ამიტომ საჭირო ყურადღება ათხოვონ იმას, რომ ემირმა საქვეყნოდ აღიარა თავისი გრძნობანი და განზრახვანიო.

იგივე გაზეთი ამბობს: ახალი წესი და რიგი, რომელიც სერბიაში დამკვიდრდა, იმის საბუთია, რომ დაცული იქნება წესიერება და საზოგადო მშვიდობიანობა, რისთვისაც ასე თავ-გამოდებულნი არიან ყველა სახელმწიფონიო.

6 მარტი

პეტერბურგი. გაზეთები იუწყებიან, რომ სევასტოპოლს წავიდა ჟანდარმების პოლკოვნიკი პუკალოვსკი, რომელმაც ჩვენება უნდა ჩამოართვას აშინოვს და გამოიძიოს მისი საქმე. აშინოვის ამალა, გადაწყვეტილია, დაშლილ იქმნას და განყოფილ სამ ნაწილად: თითოეული ნაწილი სხვადასხვა ალაგას იქმნება დაბინავებული. ხოლო თვით აშინოვს დააბინავებენ სარატოვის გუბერნიაში და პოლიციას ჩააბარებენ, რომ მან უგდოს ყური.

ბერლინი. გუშინ დილით მოვიდა აქ დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული, ჰნახა იმპერატორი და იმპერატრიცა გერმანიისა და შუადღისას პარიჟს წაბრძანდა.

პარიჟი. როცა ბულანჟე მივიდა ტურში, თანაგრძნობით მიეგებნენ იქაურები. თანამგრძნობელთ გარდა იყვნენ ისეთნიცა, რომელნიც უსტვენდნენ გენერალს. გუშინ ტურში ბანკეტი იყო. ბულანჟემ ამ ბანკეტზე სიტყვა წარმოსთქვა: საეროვნო დასის პროგრამა ის არის, რომ განმტკიცდეს რესპუბლიკაო, გაძლიერდეს მთავრობა და უზრუნველი შეიქმნას თავისუფლებაო. ბულანჟეს უთქვამს, რომ ტყუილია, ვითომ მე დიქტატორობა მინდოდესო. ჩემს დასს ჰსურს მხოლოდ რესპუბლიკა, მხოლოდ ისეთი რესპუბლიკა-კი, რომელსაც ძლიერი მთავრობა ჰყვანდესო, მთავრობა მზრუნველი საერო კეთილდღეობისა და შემწყნარებელი თითოეულის სარწმუნოებისაო.

ბელგრადი. მართალი არ არის ის ამბავი, რომ ვითომ მილანმა ხელწერილი ჩამოართვა რეგენტებს, ნება არ მისცეთ დედოფალს ნატალიას დაბრუნდეს სერბიაშიო. სერბიაში მისვლა დედოფალს ნატალიას არ ალეკრძალება; მაგრამ რაკი მხოლოდ მილანს აქვს ნება კონსტიტუციის ძალით თავის შვილის აღზრდას უგდოს ყური, ამიტომ იმას არა სურს, რომ დედოფალი სასახლეში სცხოვრობდეს შვილთან. რეგენტები ეცადნენ, ეს გარდაწყვეტილება მილანისა ცოტაოდნად ლმობიერი ყოფილიყო და ამიტომ დაარწმუნეს მილანი, რომ შვილს ნება ჰქონდეს ხანდახან წავიდეს და ნახოს ხოლმე დედოფალი, თავისი დედაო.

პეტერბურგის ბირჟა, 3 მარტი

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 43 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 148³/₄ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 10 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 275¹/₂ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 248¹/₂ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 97³/₄ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | 98¹/₄ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 83 „ | — „ | — „ |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპთ (1889) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

მარტი 31 დღით არის.

7 დღე სამშაბათი. მღ.-მოწ. ხერსონეთის ეპისკ. ვასილისა, ეფრემისა, კაპიტონისა და სხვათა. კათოლ. ფელიციტასი. მაჰმად მე-17 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 12—8. ტფილისში მზე ამოდის 6—5 ჩადის 6—12. მთვარე 18 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მარტიდამ 1 აპრილამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3¹/₂ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3¹/₂ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | „ | |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი . . . . | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი


საზოგადო წასასმელი

ლითონთა საწმენდავად.

საუკეთესო ღონისძიებაა

!მთელის ქვეყნის მირ-ზედ!

უმთავრესი დეპო იმყოფება სამხრეთ რუსეთისათვის ძმათა პეტ რო კოკონოებთან ოდესას




ისყიდება ყველგან.

მყიდველებსა ვსთხოვთ, რომ ყურადღება მიაქციონ ჩვენს ფირმასა და საფაბრიკო მარკას.

(26—15)


ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების

## გამგეობა

პატივის-ცემით განაცხადებს, რომ ამა მარტის ოც-და-ექვსს, საღამოს ექვს საათზედ, დანიშნულია ამ საზოგადოების წევრთა საყოველთაო კრება.

ამ კრების საქმე არის:

1) განიხილოს და დაამტკიცოს ანგარიში საზოგადოების ოპერაციებზედ 1888 წლის განმავლობაში და დაამტკიცოს მონაგების განაწილება.

2) განიხილოს წინადადება წესდების რამდენისამე მუხლის შეცვლაზედ.

3) დაინიშნოს რიგი და ზომა იმ გასამჯელოსათვის, რომელიც უნდა მიეცეს მართველობაში თანამდებობის პირთ.

4) განიხილოს და დაამტკიცოს ხარჯთ-აღრიცხვა 1889 წლისათვის.

და 5) აღირჩიოს წესდების თანახმად გამომავალთა მაგიერი: სამი დეპუტატი რჩევისა, გამგეობის თავმჯდომარე და აგრეთვე სარევიზიო კომისიის წევრები და ამ უკანასკნელთა კანდიდატები და სხვა თანამდებობის პირნი, თუ რომ ეს საჭირო დამოჩნდა. 3—3

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. წუთათელაძისაგან . . . . . . . | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი, გუ[illegible]ასი . . . . . . . . | „ | 45 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, ჟ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . | „ | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 › . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 › . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 › . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 › . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 › . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.


## დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ ისყიდება „საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შევსებული და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მიმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.

Доз. ценз. Тифлисъ 6-го Марта 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи), на Фрейлинской ул. пом. Т.-Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე